სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/10

ქ. თბილისი

11 ოქტომბერი 2021 წ.

დოქტორანტურის დეპარტამენტის დებულებაში შესატანი ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დავით მახვილაძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 თებერვლის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ განიხილა და დაადგინა:**

1. მოწონებული იქნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის - დოქტორანტურის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დეპარტამენტის დაქვემდებარების ცვლილებას, კერძოდ, დოქტორანტურის დეპარტამენტი მიეკუთვნოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე- რექტორისა და სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის საკურატორო სფეროს.
2. დოქტორანტურის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**